ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის, თანამშრომლობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების გაძლიერება თბილისის N177-ე საჯარო სკოლაში

სალომე ბრეგვაძე, ეკატერინა კორიფაძე, სალომე წულაია

„სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე, განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად“

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ქეთევან თოდაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023 წელი

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად გამზადებულ ან დასაცავად წარსადგენ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. “

სალომე ბრეგვაძე

ეკატერინა კორიფაძე

სალომე წულაია

18.06.2023 წელი

აბსტრაქტი

საქართველოში ინკლუზიური განათლების დანერგვის საკითხი 2005 წლიდან არის აქტუალური და ქართული განათლების სისტემისთვის დღემდე გამოწვევად რჩება. სხვადასხვა სკოლას, საკუთარი სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა საჭიროება აქვს. ჩვენი კვლევის მიზანი იყო, კონკრეტული სკოლის გამოცდილება გვეკვლია და სასკოლო საზოგადოებსათან ერთად გაგვეუმჯობესებინა არსებული მდგომარეობა.

კლიენტი ორგანიზაცია გლდანის 177-ე საჯარო სკოლა იყო. აღნიშნულ სკოლას ინკლუზიური განათლების დანერგვის მიმართულებით დიდი გამოცდილება აქვს. პრაქტიკის კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენი მიზანი იყო , სასკოლო საზოგადოებსათან ერთად სკოლის მდგომარეობის გაუმჯობესება ინკლუზიური განათლების მიმართულებით. ჩვენი კვლევა რიგით მეორე პრაქტიკის კვლევაა აღნიშნულ სკოლაში. ნაშრომის შედეგების გაცნობისა და დიაგნოსტიკური კვლევის ჩატარების შემდეგ, ჩამოვაყალიბეთ საკვლევი საკითხი და კითხვები. გამოიკვეთა ანგარიშვალდებულების, მხარდაჭერისა და თანმშრომლობის მექანიზმების გაძლიერების საჭიროება.

სკოლის იდეებისა და წინა პრაქტიკის კვლევის გამოცდილების გათვალისწინებით, შევიმუშავეთ და განვახორციელეთ სამი ინტერვენცია. ესენია: განათლების კათედრის ამუშავება (ანგარიშვალდებულების მექანიზმის შესაქმნელად და თანამშრომლობითი კულტურის გასაძლიერებლად), მშობელთა ტრენინგი (მშობელთა მხარდაჭერისა და გაძლიერებისთვის) , ადაპტირებული რესურსების ელექტორნული ბაზის შექმნა (თანამშრომლობისა და მხარდაჭერის გაძალიერებლად) .

საბოლოოდ, განხორცილებული ინტერევნციები პოზიტიურად შეფასდა და სკოლამ მიიღო გარკეეული რეკომენდაციები.

საძიებო სიტყვები:

ინკლუზიური განათლება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, სპეციალური მასწავლებელი, თანამშრომლობა, ანგარიშვალდებულება, ინკლუზიური განათლების კათედრა, ინკლუზიური განათლების ელექტრონული გაზეთი.

Abstract

The issue of introducing inclusive education in Georgia has persisted since educational reforms in 2005 and remains a challenge for the Georgian education system. Different schools have different needs depending on their specific challenges. The purpose of this research is to investigate and present the experience of one school and provide methods and instruction to improve the current situation in cooperation with its administration, faculty, and staff.

The client organization was the 177th public school of Gldani. The school is attempting to implement strategies related to inclusive education.

Based on the principles of action research, our goal is to improve the condition of the school regarding inclusive education in cooperation with its community. This project is the second action research to be implemented in the school. Following a review of the previous research and conducting our own diagnostic study, we formulated our topic and questions. The need to strengthen practices of accountability, support, and cooperation is highlighted.

Based on the school's proposals and previous action research experience, we designed and implemented three interventions. They are as follows: the development of an inclusive education department; to promote accountability and to strengthen a culture of collaboration, parent trainings; as a means of supporting and empowering parents, creating an electronic database consisting of adapted resources for children with learning disabilities; in order to strengthen cooperation and support among teachers.

Finally, the implemented interventions were evaluated positively by the school community and they received recommendations from the researchers.

Search words:

Inclusive education, special education, teacher specialization, cooperation, accountability, inclusive education department, inclusive education database.